ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 18 ნოემბრის სხდომის
ოქმი N 14

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 18 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
2. სამაგისტრო, საბაკალავრო ნაშრომების, პროექტის, ჯგუფური პროექტის შეფასების წესის შესახებ
3. საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ
4. დოქტორანტურის დაფინანსების შესახებ
5. პროფესორ პიტერ ლიდიარდისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ
6. ცვლილებები ეკოლოგიის პროგრამაში
7. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო 2017-18 სასწავლო წლის წლის ბაკალავრიატის ანკეტა კითხვარი და მოკლედ ისაუბრა მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ. კერძოდ, გაზრდილია მისაღები კონტინგენტი - 960-ია ნაცვლად 760-სა. თუმცა აქ შედის საქართველო-სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე და კომპიუტერული მეცნიერებების ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები აბიტურიენტების რაოდენობაც. 400 ადგილი კვლავაც უფასოა. ცალკეულ საგნებში შეცვლილია კომპეტენციის ზღვარი (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა რ.ხომერიკმა, კომპიუტერული მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მ.ხაჩიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – სამაგისტრო, საბაკალავრო ნაშრომების, პროექტის, ჯგუფური პროექტის შეფასების წესის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებაში (ახალი რედაქცია) გასულ წელს შესული ცვლილებების შესაბამისად საჭირო გახდა პროექტის, ჯგუფური პროექტის, საბაკალავრო ნაშრომის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმებში ცვლილებების შეტანა. კერძოდ, გაუქმდა შუალედური დაცვა. შემდეგ მან საბჭოს წევრებს წარუდგინა კორექტირებული ფორმები (იხ. დანართი 2).

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ნ.შათაშვილმა, დ.ძიძიგურმა. მათ ისაუბრეს წინასწარი დაცვების აუცილებლობისა და მათი დანიშვნის ვადების შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ წინასწარი დაცვები 3 კვირით ადრე დაინიშნოს. პროფესორმა ნ.შათაშვილმა შენიშნა, რომ ექსპერიმენტულ დარგებში ყოველთვის არ ხერხდება შედეგების წინასწარ მიღება. გაიმართა მსჯელობა - 3 კვირით ადრე დაინიშნოს წინასწარი დაცვა თუ 1 კვირით ადრე. სხდომის თავმჯდომარემ წინადადება შემოიტანა, რომ ეს საკითხი დეპარტამენტმა გადაწყვიტოს, ხოლო დადგენილების პროექტში შესაბამისი ცვლილება შევიდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროექტის, ჯგუფური პროექტის, საბაკალავრო ნაშრომის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმებს აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს პროექტის, ჯგუფური პროექტის, საბაკალავრო ნაშრომის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წარმოდგენილი ფორმები (იხ. დანართი 2). წინასწარი დაცვის ვადები განისაზღვროს დეპარტამენტების გადაწყვეტილების მიხედვით.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ მოამზადა დეკანის მოადგილემ სამეცნიერო მუშაობის დარგში ქალბატონმა თ.ჭელიძემ (იხ. დანართი 3). ცვლილებას წარმოადგენს ის, რომ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ზაფხულში ტარდებოდა, გადმოტანილია ზამთარში. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მოხსენებები მონაცვლეობით იქნება და მათ საშუალება მიეცემათ ერთმანეთს მოუსმინონ. შეიქმნება სპეციალური ჟიური, რომელიც სტუდენტებს შეაფასებს. თითოეული დეპარტამენტის გამარჯვებული სტუდენტი მიიღებს 600 ლარიან ჯილდოს (დაქვითვის გარეშე) პირადად ფაკულტეტის დეკანისაგან. სტუდენტების მონაწილეობა კონფერენციაში ნებაყოფილობითია. კონფერენცია ჩატარდება 2017 წლის 7-10 თებერვალს.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა დ.ძიძიგურმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტი საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ (იხ. დანართი 3).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – დოქტორანტურის დაფინანსების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ მცირე ცვლილება შეიტანა წერილში, რომელიც წინა საბჭოზე განიხილეს და ეხებოდა დოქტორანტურის სახელმწიფო დაფინანსების ინიციატივას. კერძოდ, ამოღებულ იქნა წინადადება - შედარება მაგისტრატურის ანალოგიურ გრანტთან (იხ. დანართი 4).

აზრი გამოთქვა: პროფესორებმა ბ.თუთბერიძემ, დ.ძიძიგურმა, ნ.შათაშვილმა. კამათი გამოიწვია საკითხმა - ამოიღონ თუ არა წერილიდან წინადადება ექსპერიმენტული დარგების შესახებ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ეს წინადადება წერილში დარჩეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სახელით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე გასაგზავნი წერილის ტექსტს დოქტორანტურის სახელმწიფო დაფინანსების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სახელით გაეგზავნოს წერილი დოქტორანტურის სახელმწიფო დაფინანსების ინიციატივით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს (იხ. დანართი 4).

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – პროფესორ პიტერ მ. ლიდიარდისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის კათედრის გამგის პროფესორ ნ.ფორაქიშვილის და ამავე კათედრის ასოცირებული პროფესორის ნ.მიცკევიჩის წერილი. წერილში მოცემულია ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგია-მიკრობიოლოგიის კათედრის თანამშრომელთა ინიციატივა და წარმოდგენილია პროფესორ პიტერ ლიდიარდის კანდიდატურა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად. წერილს თან ერთვის პროფესორ პიტერ მ. ლიდიარდის მოკლე ბიოგრაფია (იხ. დანართები 5.1-5.2).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ დ.ძიძიგურს. ქალბატონმა დიანამ საბჭოს წევრებს მოკლედ გააცნო პროფესორი პიტერ მ. ლიდიარდი. მან აღნიშნა, რომ პროფესორი პიტერ ლიდიარდი (Peter M Lydyard) გახლავთ მსოფლიოს ერთ-ერთ- წამყვანი უნივერსიტეტის University College London (UCL) იმუნოლოგიის კათედრის ყოფილი გამგე, ამჟამად კი - ემერიტუს პროფესორი, ვესტმისტერისა და სენტ ჯორჯის უნივერსიტეტების (ლონდონი) მიწვეული პროფესორი Dartmouth Medical School, Lebanon NH (ნიუ ჰემფშირი, აშშ) პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით თსუ-ში 1995 წლიდან უწყვეტად ხორციელდება ტემპუსის და სხვა ევროპული გრანტები, როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო პროექტები. მისი მრავალწლიანი ძალისხმევით აღიჭურვა თსუ იმუნოლოგია-მიკრობიოლოგიის კათედრა თანამედროვე აპარატურით, საჩუქრად გადაეცათ ასიათასობით ლარის ღირებულების ხელსაწყოები. მისი მხარდაჭერით პერმანენტულად ხორციელდება სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობები კვალიფიკაციის ასამაღლებლად ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში (ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი). ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს 90-

იან წლებში პროფ. პიტერ ლიდიარდის პროფესიულმა ერთგულებამ და მუდმივმა დახმარებამ სასწავლო მასალებითა და სხვადასხვა თანამედროვე რესურსებით კათედრას შეუნარჩუნა სამეცნიერო კვლევების მაღალი ხარისხი და მისი კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი გახადა დასაქმებაში მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის კვლევით თუ სასწავლო ინსტიტუციებში, რითაც კათედრა ასე ამაყობს. თანამშრომლობა პროფესორი პიტერ მ.ლიდიარდთან 20 წელზე მეტია რაც გრძელდება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის უნივერსიტეტის College London (UCL) ემერიტუს პროფესორის პიტერ ლიდიარდისთვის (Peter M Lydyard) თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის უნივერსიტეტის College London (UCL) ემერიტუს პროფესორის პიტერ მ.ლიდიარდისთვის (Peter M Lydyard) თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – ცვლილებები ეკოლოგიის პროგრამაში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან აღნიშნა, რომ ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა შოთა სამსონიამ დააყენა საკითხი ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის შეცვლის თაობაზე. კერძოდ, გურამ სუპატაშვილი, რომელიც კურირებს ზემოხსენებული პროგრამის ქიმიის ნაწილის სასწავლო კურსებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უარს აცხადებს პროგრამის ხელმძღვანელობაზე. ქიმიის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით (იხ. დანართი 6 - ქიმიის დეპარტამენტის სხდომის ოქმი) პროგრამის ხელმძღვანელად დასახელდა მოწვეული პედაგოგი გიორგი მახარაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა გიორგი მახარაძის კანდიდატურას ეკოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს გიორგი მახარაძის კანდიდატურა ეკოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი